აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025
წლის 13 აგვისტოს N54 ბრძანების

დანართი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტროს) პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (შემდგომში - პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა), ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით განსაზღვრავს სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების პრინციპებს, მიზნებსა და წესებს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, აკ. მამია კომახიძის ქ. N119, ტელ: 0422 247841, ელ.ფოსტა contact@moa.ge.

3. წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა ვრცელდება სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების (შემდგომში - მონაცემები) დამუშავების ყველა პროცესზე. მათ შორის, თანადამუშავებისათვის პასუხისმგებელ პირებსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებთან ერთად მონაცემების დამუშავების პროცესებზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა, კერძოდ:

ა) მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი - სამინისტრო, რომელიც განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამშავებას.

ბ) პერსონალური მონაცემი - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით,

ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

გ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

დ) მონაცემთა სუბიექტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

ე) მონაცემთა დამუშავება - მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

ვ) მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავება - მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;

ზ) მონაცემთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავება - მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე;

თ) მონაცემთა ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავება - მონაცემთა დამუშავება ავტომატური საშუალებებისა და არაავტომატური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით;

ი) მონაცემთა სუბიექტის თანხმობა - მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება;

კ) მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა - თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამოხატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ;

ლ) მონაცემთა მიმღები - ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა;

მ) მონაცემთა მიმღების კატეგორია - მონაცემთა მიმღების კლასიფიკაცია/დაჯგუფება საქმიანობის სფეროს ან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით;

ნ) თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები - დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ორი ან ორზე მეტი პირი, რომლებიც ერთობლივად განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს;

ო) დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი - ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი;

პ) აუდიომონიტორინგი - საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხმოვანი სიგნალის მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, აუდიოკონტროლი ან/და აუდიოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა);

ჟ) ინციდენტი - მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას;

რ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - სამინისტროს მიერ განსაზრვრული/დანიშნული პირი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს;

ს) მესამე პირი - ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა, დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირისა, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა, სპეციალური წარმომადგენლისა და იმ პირისა, რომელიც უფლებამოსილია დაამუშაოს მონაცემები დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი დავალებით.

მუხლი 4. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

1. სამინისტრო მონაცემებს ამუშავებს კანონით განსაზღვრულ მონაცემთა დამუშავების საფუძვლის არსებობის პირობებში, შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, გამჭვირვალედ და მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად;

ბ) მონაცემები უნდა შეგროვდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნისათვის და არ უნდა იქნეს გამოყენებული ამ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

გ) მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;

დ) მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

ე) მონაცემები შენახულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისათვის მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად;

ვ) მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისაგან, შემთხვევითი დაკარგვისაგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისაგან.

2. სამინისტრო უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებას იმგვარად, რომ შეძლოს პროცესის ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპებთან შესაბამისობის დასაბუთება.

მუხლი 5. მონაცემთა დამუშავება

1. სამინისტროში პერსონალური მონაცემი მუშავდება არაავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებით.

2. სამინისტრო ამუშავებს სახელმწიფო მოსამსახურეების, საჯარო მოსამსახურეების (მათი ოჯახის წევრის შესახებ ინფორმაცია მუშავდება ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით და სამინისტროს შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევაში), მოქალაქის - განმცხადებელი (საჭიროების გათვალისწინებით, მათი ოჯახის წევრის შესახებ ინფორმაცია (დაბადების/ქორწინების/გარდაცვალების მოწმობები) მუშავდება განცხადებაში მითითებულ პროგრამაში მონაწილეობის მიზნებისთვის), საჩივრის წარმდგენი; კონტრაქტორი ფიზიკური პირის (მომსახურების გამწევი/საქონლის მომწოდებელი); კომისიის წევრის (კონკურსის შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტი), კონკურსში მონაწილე კანდიდატი და სტაჟირების მსურველი პირის/სტაჟიორის მონაცემებს.

3. სამინისტრო ამუშავებს შემდეგ მონაცემებს:

ა) სამინისტროს ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე მუშავდება შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი მისამართი, იურიდიული მისამართი, ელექტრონული ფოსტა, ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ინფორმაცია ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ფოტოსურათი, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სხვა მონაცემები, რომელიც ძირითადი საქმიანობიდან არ გამომდინარეობს. ასევე, ხორციელდება აუდიომონიტორინგი;

ბ) სამინისტროში ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით მუშავდება შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, სქესი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი, დაბადების თარიღი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი, განათლების შესახებ ინფორმაცია, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, გავლილი ტრეინინგებისა და მიღებული სერტიფიკატების შესახებ ინფორმაცია, ოჯახური მდგომარეობა, რეკომენდატორის შესახებ ინფორმაცია, სამუშაო გამოცდილება, დისციპლინური

პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია, სპაციალური წოდების მინიჭების და სხვა ბრძანებების ასლები, წახალისების შესახებ ინფორმაცია, უცხო ენის ცოდნა, ფოტოსურათი, ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ცნობა მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ, ცნობა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის შესახებ, ცნობა სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან მოხსნის შესახებ, ცნობა სტაჟირების მსურველი პირის აკადემიური მოსწრების (GPA) შესახებ, ცნობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე (უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სწავლის შემთხვევაში, ასევე დამამთავრებელ კურსზე სწავლის შესახებ) სწავლის შესახებ, საბანკო რეკვიზიტები.

4. არასრულწლოვანის მონაცემები დამუშავდება მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება – მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

მუხლი 6. მონაცემთა დამუშავების მიზნები

1. სამინისტრო მონაცემთა დამუშავებას ახორციელებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით და შესაბამისი მოცულობით.

2. მონაცემთა დამუშავების მიზნებია:

ა) მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, სამინისტროს საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ) განცხადების/საჩივრის განხილვა;

გ) შრომითი ურთიერთობების რეგულირება, ადამიანური რესურსების მართვა;

დ) შრომის ანაზღაურება, მივლინების ხარჯების ანაზღაურება, კანონით გათვალისწინებული დახმარების ჩარიცხვა;

ე) ვაკანტური თანამდებობების/სტაჟიორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების და ამ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირთა მონაცემების შესაბამისობის შემოწმება, შემდგომში მათი შერჩევისა და დასაქმების/სტაჟირების მიზნით;

ვ) თანამშრომლების შესახებ პერსონალური მონაცემების ბაზის შექმნა;

ზ) ჯანმრთელობის დაზღვევა;

თ) მომსახურების ან საქონლის მოწოდებისათვის ფიზიკურ პირებთან ანგარიშსწორება;

ი) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;

კ) მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ვალდებულების შესრულება.

მუხლი 7. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

1. სამინისტროში მონაცემების დამუშავება ხდება კანონით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

2. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

ა) მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;

ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;

გ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

ე) კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;

ვ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

ი) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების ან/და საჩივრის განსახილველად.

3.დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.

მუხლი 8. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება

1. სამინისტროში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვით და იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერთი შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებიდან:

ა) მონაცემთა სუბიექტმა წერილობით განაცხადა თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნისთვის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;

ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით და წარმოადგენს აუცილებელ და პროპორციულ ზომას დემოკრატიულ საზოგადოებაში;

გ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად არ შეუძლია თანხმობის გაცხადება;

დ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;

ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის უზრუნველსაყოფად.

2. ამ მუხლში მითითებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, სამინისტრო ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მათ შორის: ჯანმრთელობის მდგომარეობის, ნასამართლეობის და ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ინფორმაციას.

მუხლი 9. გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემთა დამუშავება

1. მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია:

ა) იმ სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მე-6 და მე-7 მუხლებით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მონაცემების დამუშავება არ არის აკრძალული მონაცემთა სუბიექტის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მიერ, გარდა იმ გარემოებისას, როდესაც მონაცემთა სუბიექტმა სიცოცხლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე, წერილობითი ფორმით გამოხატა საკუთარი ნების შესაბამისად აკრძალვა მისი გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემების დამუშავებაზე;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალებიდან გასულია არანაკლებ 30 (ოცდაათი) წელი;

დ) იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზებისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 10. მონაცემთა მიმღების კატეგორიები

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მონაცემებთა მიმღები შეიძლება იყოს: მონაცემთა სუბიექტი, საჯარო დაწესებულება, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები.

მუხლი 11. აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი

სამინისტროში აუდიომონიტორინგი ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის სამართლებრივი აქტით დადგენილი აუდიომონიტორინგის წესის შესაბამისად.

მუხლი 12. მონაცემთა მოპოვების წყარო და მათი გადაცემა

1. სამინისტროში მონაცემი შეიძლება შეგროვდეს უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან ან განცხადების/საჩივრების განხილვის ფარგლებში შესაძლოა მონაცემები შეგროვდეს სხვა წყაროებიდან (წყარო შეიძლება იყოს სხვა ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კერძო სამართლის იურიდიული პირი და ფიზიკური პირი).

2. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მონაცემები შესაძლოა გადაეცეს დაინტერესებულ უფლებამოსილ პირს, სხვა საჯარო დაწესებულებას და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

მუხლი 13. მონაცემთა შენახვა, მათი ვადები და წვდომა

1. მონაცემთა შენახვის ვადები განსაზღვრულია „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N72 ბრძანებით.

2. სამინისტროს ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე, მონაცემები ასახულია საქმიწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument), რომელზეც მომხმარებლებს წვდომა აქვთ უნიკალური იუზერითა და პაროლით. ასევე, დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე, მონაცემები აისახება საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში (etreasury) და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარშგების პროგრამულ სისტემაში, რომლებზეც წვდომა გააჩნია, მხოლოდ შესაბამის დეპარტამენტს.

3. ადამიანური რესურსების მართვის მიზნებიდან გამომდინარე, არსებული მონაცემები ასახულია კომპიუტერულ სისტემაში (eHRMS), რაზეც წვდომა აქვთ მინისტრს, ადმინისტრაციული დეპარტაენტის უფროსს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფლებამოსილ პირებს და პირველ მოადგილეს, მოადგილეს, პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს წვდომა აქვთ უშუალოდ მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მონაცემების მიმართ. ასევე, საჯარო მოსამსახურეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია, დახურული, შიდა და გამარტივებული საჯარო კონკურსების, სტაჟიორთა შესარჩევად გამოცხადებული კონკურსების ჩასატარებლად საჭირო ინფორმაცია აისახება საქართველოს მთავრობის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე: www.hr.gov.ge.

მუხლი 14. მონაცემთა უსაფრთხოება

1. სამინისტროში მიღებულია მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანმდევი საფრთხეების შესაბამისი ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას მონაცემთა დაკარგვისაგან, უკანონო დამუშავებისაგან, მათ შორის განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნების ან გამოყენებისაგან.

2. სამინისტროში მკაცრად არის დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებიც მონაცემებს ამუშავებენ მათზე დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე.

3. სამინისტრო უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის გამართულად ფუნქციონირებას, ქსელის უსაფრთხოებისათვის გამოიყენება ანტივირუსული პროგრამები.

4. თითოეულ კომპიუტერთან წვდომა აქვს უნიკალურ მომხმარებელს, უნიკალური იუზერითა და პაროლით. ავტორიზაციის გარეშე შეუძლებელია კომპიუტერზე არსებულ ინფორმაციაზე წვდომა.

5. სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებული ინფორმაცია ინახება, როგორც ელექტრონული სახით, ასევე მატერიალური სახით.

6. ელექტრონულ სისტემებში დაცული მონაცემების უსაფრთხოების მიზნით, სისტემებში შესვლა ხორციელდება მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ მისთვის მინიჭებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით. ამასთან, სისტემებში შესვლა შესაძლებელია პროგრამაში ავტორიზაციის შემდგომ. დასაქმებულებს წვდომა აქვთ იმ კორესპონდენციაზე და შესაბამისად იმ პერსონალურ მონაცემებზე, რომელთა განხილვა/დამუშავება მათ მოვალეობას წარმოადგენს.

7. ელექტრონულ პროგრამებში დანერგილი წვდომის კონტროლი, აუტენტიფიკაციისა და ავტორიზაციის ძლიერი მექანიზმები უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვას არასანქცირებული წვდომისაგან.

8. მატერიალური სახით არსებული ინფორმაცია შესანახად გადაეცემა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებას და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ შესაბამისი ფუნქციების მქონე პირებს.

მუხლი 15. მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ვალებულებები

1. მონაცემთა სუბიექტი სარგებლობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული შემდეგი უფლებებით:

ა) მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება (მე-13 მუხლი);

ბ) მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება (მე-14 მუხლი);

გ) მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება (მე-15 მუხლი);

დ) მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება (მე-16 მუხლი);

ე) მონაცემთა დაბლოკვის უფლება (მე-17 მუხლი);

ვ) მონაცემთა გადატანის უფლება (მე-18 მუხლი);

ზ) თანხმობის გამოხმობის უფლება (მე-20 მუხლი);

თ) გასაჩივრების უფლება (22-ე მუხლი).

2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოსთხოვოს სამინისტროს ინფორმაცია, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მის შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;

ბ) მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;

გ) მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ, ხოლო, თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

დ) მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ;

ე) მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;

ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა.

3. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ინფორმაცია მიიღოს მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.

4. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თავად აირჩიოს ინფორმაციის მიწოდების ფორმა. ამასთანავე, თუ მონაცემთა სუბიექტი სხვა ფორმით არ მოითხოვს ინფორმაციის მიწოდებას, მას ინფორმაცია მიეწოდება იმავე ფორმით, რომლითაც მოხდა ინფორმაციის მოთხოვნა.

5. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება. ასევე, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა, განადგურება, დაბლოკვა კანონით გათვალისწინებულ გარემოებებში. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა დაბლოკვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ან მონაცემთა დაბლოკვაზე უარის თქმის საფუძვლის შესახებ - გადაწყვეტილების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღისა.

7. ამ მუხლში მითითებული უფლებები არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 16. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება

1. მონაცემების უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან შეგროვებისას მონაცემთა შეგროვებამდე ან შეგროვების დაწყებისთანავე მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

ა) დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის, მისი წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია (პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის 1-ლი მუხლი);

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ (პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მე-5 და მე-6 მუხლები);

გ) მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობის შესახებ, ხოლო, თუ მონაცემთა მიწოდება სავალდებულოა - მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მონაცემთა შეგროვება/მოპოვება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების დასადებად (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);

დ) დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების შესახებ;

ე) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) მონაცემთა დაგეგმილი გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შესახებ, მათ შორის, მონაცემთა გადაცემაზე ნებართვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი გეგმავს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსათვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემას;

თ) მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე (პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მე-13 მუხლი);

ი) მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ (პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მე-15 მუხლი).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის, თუ არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ მონაცემთა სუბიექტი უკვე ფლობს ამ ინფორმაციას.

3. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სამინისტრო უფლებამოსილია არ მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტს მისი მონაცემების დამუშავებაზე ინფორმაცია, თუ: მონაცემების შეგროვება უშუალოდ მისგან არ ხდება და მონაცემთა შეგროვება ან გამჟღავნება დადგენილია კანონით ან საჭიროა საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად ან/და ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია ან მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას ან ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ან შეუძლებელს გახდის მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნის (მიზნების) შესრულებას. ამ შემთხვევებში, დამუშავებისათვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, მათ შორის - მონაცემების მოპოვების შესახებ ზოგადი ინფორმაციის საჯაროდ/ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმით განთავსებით.

მუხლი 17. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა

1. მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მიმართოს სამინისტროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18. ინციდენტი

1. სამინისტრო აღრიცხავს ინციდენტს, დამდგარ შედეგს, მიღებულ ზომებს და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა, მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

2. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამუშავებისათვის პასუხისმგებელ პირს.

3. სამინისტრო, ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის სიმძიმის შეფასებისას, ხელმძღვანელობს „ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის მნიშვ-ნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის ინციდენტის შეტყობინების წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 28 თებერვლის N19 ბრძანებით.

მუხლი 19. დასკვნითი დებულება

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით, რეგულირდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.